ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა # 2

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ. ადიგენი 06 თებერვალი 2019 წ.

ერთის მხრივ, შპს ,,თეგეტა მოტორსი'' (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის თეიმურაზ დარისპანაშვილის (ბრძანება №190, გაცემული 2018 წლის 16 ნოემბერს, შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მიერ) სახით და მეორეს მხრივ, ადიგენის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ადიგენის წყალმომარაგება“ (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა დემეტრაძის სახით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია: ჯვარა (კრესტავინა) ერთი ცალი, ღირებულებით 65 (სამოცდახუთი) ლარი. CPV- 34300000:

1.2 მომსახურეობა (ჯვარას შეცვლა) – 40 (ორმოცი) ლარი და 85 თეთრი. CPV-50100000

2. ხელშეკრულების ღირებულება და მიწოდების პირობები

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **105 (ას ხუთი)** ლარს 85 თეთრს.

2.2. მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის'' ყველა ხარჯს, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, სახდელს, მოსაკრებელს, ბაჟს, მათ შორის დღგ–ს.

2.3 საქონლის მიწოდებას და მომსახურების გაწევას „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში, „მიმწოდებლის“ სერვისცენტრებში.

3. ანგარიშსწორება

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა, „შემსრულებლის“ მიერ მიწოდებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.1. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს“' მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების სრული ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და ვადაში.

5. პირგასამტეხლო

5.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით.

6. საქონლის მიღება – ჩაბარების წესი

6.1. საქონლის და მომსახურების მიღება დასტურდება საგადასახადო დოკუმეტაციით. ასევე, „შემსყიდველის“ მოთხოვნის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას და მომსახურების მიღებას „მიმწოდებლისაგან“ „შემსყიდველზე“ და „შემსყიდველის“ მიერ მის მიღებას.

6.2. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება „შემსყიდველის“ მოთხოვნის საფუძველზე, საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის ფაქტიურად განხორციელებისთანავე.

7. ხარისხი

7.1 მიწოდებული საქონელი და გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანი.

9. ფორს – მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს 10 კალენდარული დღის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2. თუ, ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 18 მარტის ჩათვლით.

11.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსრულებელი:

შპს „თეგეტა მოტორსი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5
სს. ,,თიბისი ბანკი''
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE80TB0600000024467853

„შემსყიდველი“:

ა(.ა.)ი.პ. ,,ადიგენის წყალმომარაგება“
მის: დ.ადიგენი, ა.ბალახაშვილის ქუჩა №19;
ს/კ: 422720764;
ანგარიშის GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22

თეიმურაზ დარისპანაშვილი
გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

Tegeta Motors LLC
2019.02.06 16:01:53 +04'00'

მამუკა დემეტრაძე
დირექტორი

N.N.L.E Adigeni Water Supply
Digitally signed by N.N.L.E Adigeni Water Supply
Date: 2019.02.06 04:44:33 -08'00'